21/05/2025

MES 2 25 0000553944

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2025 წლის 13 მაისს 12:00 საათზე**. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Time: May 13, 2025 12:00 PM Tbilisi
Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/81550463819?pwd=Dik1CC5yYM0MhDaaY8Y7tJH5RSKrjx.1
Meeting ID: 815 5046 3819
Passcode: 802841

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრები:

გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარე);
თეა გულუა - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, ცოდნის მართვის და ინოვაციების სპეციალისტი (საბჭოს წევრი);
მარიამ ქუჩულორია - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
ნატო მებურიშვილი - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);
სალომე სანაია - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი (საბჭოს წევრი);
მარიამ ნოზაძე - სსიპ - აწარმოე საქართველოში ადამიანური რესურსების მენეჯერი (საბჭოს წევრი);

ნათია გვირჯიშვილი - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

დაწესებულებისწარმომადგენელი:
სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ საჩხერის №2 საჯარო სკოლა
ლენა გომართელი - დირექტორი
აკაკი ბუღაძე - პროფესიული მომზადების პროგრამის „კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა“ განმახორციელებელი პირი

სსიპ - ქალაქ თერჯოლის №2 საჯარო სკოლა
ფიქრია დემეტრაშვილი - დირექტორი
იმედა დოლაკიძე - პროფესიული მომზადების პროგრამის „კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა“ განმახორციელებელი პირი

სსიპ - ქალაქ აბაშის №1 საჯარო სკოლა
ინეზა ბოკუჩავა - დირექტორი
გიორგი ძიძიგური - პროფესიული მომზადების პროგრამის „კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა“ განმახორციელებელი პირი

სსიპ - ქალაქ ნინოწმინდის №4 საჯარო სკოლა
ლელა ხითარიშვილი - დირექტორი
ნინო სუდაძე - პროფესიული მომზადების პროგრამის „კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა“ განმახორციელებელი პირი
თეონა ლომიტაშვილი - დირექტორის მოადგილე

შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრი
ქრისტინე ხურციძე - ხარისხის მართვის ასისტენტ-მენეჯერი
მარიამ კვანჭიანი - ადმინისტრატორი
დავით მაზმიშვილი - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ა(ა)იპ ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო
ნიკოლოზ დობორჯგინიძე - შპს სმს
მალხაზ ლეკვეიშვილი - შპს მნ-პროექტი
თემურ მიქიაშვილი - სათბობის, ენერგეტიკული დანადგარებისა და სამშენებლო მასალების თბური დიაგნოსტირების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი
გია არაბიძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სათბობის, ენერგეტიკული დანადგარებისა და სამშენებლო მასალების თბური დიაგნოსტირების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დარგის ექსპერტები:
ალექსანდრე კეკენაძე
ირმა ღარიბაშვილი

საბჭოს სხდომა დაიწყო 12:08 საათზე

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.
მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება.
რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ საჩხერის №2 საჯარო სკოლის „კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა“ /02273/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

2. სსიპ - ქალაქ თერჯოლის №2 საჯარო სკოლის „კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა“ /02275/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

3. სსიპ - ქალაქ აბაშის №1 საჯარო სკოლის „კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა“ /02269/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

4. სსიპ - ქალაქ ნინოწმინდის №4 საჯარო სკოლის „კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა“ /02270/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

5. შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის „ხარაჩოს ინსპექტირება, აწყობა და დემონტაჟის მართვა“ /02019/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

6. ა(ა)იპ ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველოს „შენობების ენერგოეფექტურობის (ენერგეტიკული მახასიათებლების) სერტიფიცირება“ /02286/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

1. სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ საჩხერის №2 საჯარო სკოლის „კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა“ /02273/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

2. სსიპ - ქალაქ თერჯოლის №2 საჯარო სკოლის „კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა“ /02275/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

3. სსიპ - ქალაქ აბაშის №1 საჯარო სკოლის „კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა“ /02269/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

4. სსიპ - ქალაქ ნინოწმინდის №4 საჯარო სკოლის „კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა“ /02270/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხებთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადებს, პროგრამებს და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს.
საკითხები ერთიანი პრეზენტაციის სახით საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ალექსანდრე კეკენაძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 25 მარტის №331127, №331129, №331132 და №331133 ბრძანებების საფუძველზე დარგის ექსპერტმა ალექსანდრე კეკენაძემ და ცენტრის წარმომადგენელმა, მაყვალა დარსანიამ 2025 წლის 22, 23 და 24 აპრილს განახორციელეს ვიზიტები სსიპ - ქალაქ თერჯოლის №2 საჯარო სკოლაში მისამართზე ქ. თერჯოლა, 4 ძმის ქუჩა №17, სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ საჩხერის №2 საჯარო სკოლაში, მისამართზე ქ. საჩხერე, ლაშა ლაშხის 1, სსიპ - ქალაქ აბაშის №1 საჯარო სკოლაში, მისამართზე ქ. აბაშა, ჯორჯიკიას ქ. №6, სსიპ - ქალაქ ნინოწმინდის №4 საჯარო სკოლაში მისამართზე ქ. ნინოწმინდა, ვ. ჰოვსეფიანის ქ. №16.
დაწესებულებებში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, რეკომენდაცია არ გაცემულა.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ ოთხივე სკოლასთან მიმართებით, პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მესამე, პროგრამის ხანგრძლივობა - 10 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა 15.
პროგრამები განხორციელდება შემდეგ მისამართებზე - სსიპ - ქალაქ თერჯოლის №2 საჯარო სკოლაში მისამართზე ქ. თერჯოლა, 4 ძმის ქუჩა №17, სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ საჩხერის №2 საჯარო სკოლაში, მისამართზე ქ. საჩხერე, ლაშა ლაშხის 1, სსიპ - ქალაქ აბაშის №1 საჯარო სკოლაში, მისამართზე ქ. აბაშა, ჯორჯიკიას ქ. №6, სსიპ - ქალაქ ნინოწმინდის №4 საჯარო სკოლაში მისამართზე ქ. ნინოწმინდა, ვ. ჰოვსეფიანის ქ. №16.

დარგის ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა სამივე სტანდარტი და აღნიშნა, რომ პროგრამა უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების/მეწარმეობის/პიროვნული განვითარების პერსპექტივებს.
სხვადასხვა გამოკითხული ორგანიზაციები ადასტურებენ რომ ის უნარები და კომპეტენციები, რომლებიც დეკლარირებულია პროგრამის სწავლის შედეგებში, შესაბამისია შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, ხოლო სპეციალისტები რეგიონში დეფიციტური და მოთხოვნადია. პროგრამის შემუშავება და შემდგომი განხორციელება საქართველოს განათლების მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტრო - Moderns Skills For Better Jobs Sector Development Program – ADB თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარების პროგრამის (LOAN NUMBER 4034-GEO - Project Number: 52339-001) ფარგლებში ხორციელდება.
პირველ სტანდარტთან დაკავშირებით, აღინიშნა, რომ პროგრამების სახელწოდებაშეესაბამება პროგრამების შინაარს და არ არის შეცდომაში შემყვანი, მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროფესიული მომზადების პროგრამაზე - დაშვების წინაპირობაა: საბაზო განათლება, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება. სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა - გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით. პროგრამების ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.
პროგრამები ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების ვიზუალური დათვალიერებით, გასაუბრებით სკოლების წარმომადგენლებთან, მსმენელის შეფასების სისტემაუზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით, პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამებში ასახული ინფორმაციით.
მეორე სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამები უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით, რაც დასტურდება განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, ინტერვიუირებით. პროგრამის მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს წარმოდგენილი პროგრამის ხარისხიანად და ეფექტურად განხორციელებას, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების დათვალიერებით. სასწავლო რესურსი წარმოდგენილია მატერიალური და ელექტრონული სახით, ფარავს ყველა სწავლის შედეგებს და მორგებულია მსმენელთა ს ა ჭ ი რ ო ე ბ ე ბ ზ ე .
დაწესებულებებს ელ. სისტემაში წარმოდგენილი აქვს ავტორიზაციის გადაწყვეტილებები და ოქმები. გადაწყვეტილების თანახმად, სკოლებს მიენიჭა უფლებამოსილება განახორციელოს საგანმანათლებლო პროგრამები. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს საბჭომ განუსაზღვრა დასკვნებში ასახული რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის ოქტომბერ-ნოემბერში.

სსიპ - ქ. აბაშის №1 საჯარო სკოლაში ვიზიტის დროს დადგინდა, რომ ცენტრში განაცხადის გადმოგზავნის შემდეგ მოძიებულ იქნა მეორე განმახორციელებელი პირი, რომელსაც სრულად უდასტურდება კვალიფიკაცია, სკოლას ატვირთული აქვს ელ. სისტემაში მეორე განმახორციელებელი პირის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ხელშეკრულება. განმახორციელებელი პირის კვალიფიკაცია დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.
სსიპ - ქ. ნინოწმინდის №4 საჯარო სკოლაში ვიზიტის დროს დადგინდა, რომ პროგრამის მდგრადობის თვალსაზრისით, განაცხადის გადმოგზავნის შემდეგ, სკოლის მიერ დამატებული იქნა მეორე განმახორციელებელი პირი, რომელსაც სრულად უდასტურდება კვალიფიკაცია, დაწესებულებას ატვირთული აქვს ელ. სისტემაში მეორე განმახორციელებელი პირის დოკუმენტაცია და ხელშეკრულება. განმახორციელებელი პირის კვალიფიკაცია დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.
მესამე სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ აღნიშნული სკოლები აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში. აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით. უზრუნველყოფს მის მიერ გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებას. პროგრამების ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს, რაც დასტურდება წარმოდგენილი წესით და კითხვარებით. თანამშრომლობს მის საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან.
მესამე სტანდარტის 3.5 და 3.7 ქვესტანდარტი არ ექვემდებარება შეფასებას გამოცდილების არ არსებობის გამო.
პრეზენტაციის ბოლოს დარგის ექსპერტმა საბჭოს წინაშე წარმოადგინა ოთხივე სკოლის სასწავლო გარემოებების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს პრეზენტაციისთვის და მიმართა საბჭოს წევრებს კითხვისთვის, ან კომენტარისთვის.
საბჭოს წევრმა ნათია გვირჯიშვილმა გააკეთა კომენტარი და აღნიშნა, რომ განხილული სკოლები შეირჩა ADB თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, სწორედ ამისთვის მან მადლობა გადაუხადა მან პროექტს, რადგან ეს ძალიან დიდი მნიშვნელობის მატარებელია იმ თვალსაზრისით, რომ წარმოდგენილი ოთხი მუნიციპალიტეტებიდან სამი ისეთია, რომელშიც პროფესიული განათლება საერთოდ არ იყო არანაირი ფორმით ხელმისაწვდომი და ეს უკვე დიდი წინგადადგმული ნაბიჯია მუნიციპალიტეტებისთვის, რადგან ერთი კერა მაინც იქნება ისეთი, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას პროფესიულ განათლებას შესთავაზებს. საბჭოს წევრმა, ასევე მადლობა გადაუხადა სკოლებს მზაობისთვის და ექსპერტებს ჩართულობისთვის.
ADB თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარების პროგრამის წარმომადგენელმა თამარ მამსიკაშვილმა მადლობა გადაუხადა სამინისტროს, ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს მხარდაჭერისთვის და აღნიშნა, რომ პროექტის ფარგლებში, გარდა განხილული პროგრამისა, უახლოვეს მომავალში დაგეგმილია, სხვა სკოლებში სარეაბილიტაციო, სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ, მოკლევადიანი პროგრამების შემუშავება სამიზნე სკოლებისთვის, შესაბამისად ოც სამიზნე სკოლაში განხორციელდება პროგრამები.
ADB თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარების პროგრამის მენეჯერმა ნინო ედილაშვილმა მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას მოწვევისთვის და აღნიშნა, რომ საბჭოს მიმდინარეობის თვალყურის დევნება მისთვის ძალიან საინტერესოა,

მან მადლობა გადაუხადა განათლების სამინისტროს და ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ხელშეწყობისთვის და აღნიშნა, რომ ეს შედარებით ახალი ინიციატივაა, საჯარო სკოლებისთვის და ამ პროცესში მჭიდრო თანამშრომლობა ძალიან მნიშვნელოვანია. მან ასევე განაცხადა, რომ ისინი მოუთმენლად ელოდებიან, რომ დაამატონ კიდევ უფრო მეტი პროფესიები საჯარო სკოლებში და ამ მხრივ ორგანიზაცია ბევრს მუშაობს, რომ სწრაფად დასრულდეს სამშენებლო სამუშაოები.
საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ADB თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარების პროგრამის წარმომადგენლებს და აღნიშნა, რომ ასეთი ჩართულობით ყოველთვის უფრო საინტერესო პროგრამები ხორციელდება და ეს სამიზნე სკოლები, რომლებიც 20-მდე გაიზრდება ეს კიდევ უფრო მეტ ძალას და ინტერესს შესძენს სკოლებს და რეგიონებს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ საჩხერის №2 საჯარო სკოლის „კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა“ /02273/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ საჩხერის №2 საჯარო სკოლას (ს/კ: 239402598) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა /02273/ **(დანართი 1).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თერჯოლის №2 საჯარო სკოლის „კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა“ /02275/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ

თერჯოლის №2 საჯარო სკოლას (ს/კ: 232001678) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა /02275/ **(დანართი 2)**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ აბაშის №1 საჯარო სკოლის „კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა“ /02269/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ აბაშის №2 საჯარო სკოლას (ს/კ: 222442774) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა /02269/ **(დანართი 3).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ნინოწმინდის №4 საჯარო სკოლის „კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა“ /02270/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ნინოწმინდის №4 საჯარო სკოლას (ს/კ: 236688839) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა /02270/ **(დანართი 4)**

5. შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის „ხარაჩოს ინსპექტირება, აწყობა და დემონტაჟის მართვა“ /02019/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ირმა ღარიბაშვილმა, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 21 მარტის №319087 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა ირმა ღარიბაშვილმა შეისწავლეს შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის პროფესიული მომზადების პროგრამის „ხარაჩოს ინსპექტირება, აწყობა და დემონტაჟის მართვა“ (ID 02019) განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2025 წლის 10 აპრილს განახორციელეს ვიზიტი შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრში, მისამართზე ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. 14ა.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს გამოვლინდა შემდეგი ხარვეზები

ქვესტანდარტი 1.2 - პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს

პროგრამაში ტექნიკური ხარვეზის გამო, ვერ შეფასდა პროგრამის შინაარსი, ვინაიდან პროგრამაში წარმოდგენილია მხოლოდ მეორე კვირის თემატიკა. პროგრამის შინაარსი უკავშირდება პროფესიულ მომზადებას, თუმცა ეს უნდა აისახოს პროგრამაში სრულყოფილად. ასევე პროფესიული მომზადების პროგრამის თემატიკა უნდა მოიცავდეს ხარაჩოს ტექნიკური დოკუმენტაციის შესწავლას, რათა კურსდამთავრებულმა შეძლოს სამუშაოების შესრულების სწორი შეფასება. თემატიკა გაწერილი უნდა იყოს დაწესებულების მიერ განსაზღვრული ყოველი კვირის მიხედვით.

ქვესტანდარტი 1.7 - პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია.

შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის პროფესიული მომზადების პროგრამის „ხარაჩოს ინსპექტირება, აწყობა და დემონტაჟის მართვა“ ხანგრძლივობად განსაზღვრულია 2 კვირა. პროგრამა მოიცავს 3 სხვადასხვა სახის ხარაჩოს ინსპექტირების, აწყობისა და დემონტაჟის მართვის საკითხებს. პროგრამაში განსაზღვრული ხანგრძლივობა არ არის საკმარისი მოცულობითი თემატიკების შესასწავლად, შესაბამისად, აღნიშნული საკითხების შესწავლისათვის მიზანშეწონილია სწავლების ხანგრძლივობის გაზრდა მინიმუმ 6 კვირამდე.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს გაიცა შემდეგი რეკომენდაციები

ქვესტანდარტი 1.6. პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით.

მიზანშეწონილია პირველი სწავლის შედეგის “სახელმძღვანელო დოკუმენტაციისა და ტერმინების განმარტება, შრომის უსაფრთხოების საკანონმდებლო მოთხოვნების განსაზღვრა” რედაქტირება.

ქვესტანდარტი 1.7. პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია.
„ხარაჩოს ინსპექტირება, აწყობა და დემონტაჟის მართვის“ პროფესიული მომზადების პროგრამის აღწერითი ნაწილიდან ამოღებულ იქნეს ჩანაწერი მსმენელთა დამოუკიდებელი სწავლისთვის გამოყოფილი საათების შესახებ.
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეხუთე, პროგრამის ხანგრძლივობა - 2 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 26, განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. 14ა.
დარგის ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა სამივე სტანდარტი და 1.5 ქვესტანდარტთან მიმართებაში აღნიშნა, რომ
ქვესტანდარტი 1.5 - პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-2/მე-3/მე-4/მე-5 დონეს, დაწესებულებას პროფესიული მომზადების პროგრამისთვის განსაზღვრული აქვს მე-5 დონე. დაწესებულებაში ვიზიტის დროს პროგრამის დონესთან მიმართებაში დადგინდა, რომ პროფესიული მომზადების პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების, მიზნის, თემატიკისა და აღწერილობის გათვალისწინებით სწავლის შედეგებში წარმოდგენილი კომპეტენციები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-4 დონეს.
მეორე სტანდარტი არ არის დარღვეული. მესამე სტანდარტის შესახებ აღინიშნა, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტაცია მსმენელთა შერჩევის შესახებ და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, ხოლო 3.5 და 3.7 არ ექვემდებარება შეფასებას გამოცდილების არ არსებობის გამო.
პრეზენტაციის ბოლოს დარგის ექსპერტმა საბჭოს წინაშე წარმოადგინა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს პრეზენტაციისთვის და აღნიშნა, რომ პირველ სტანდარტში არსებული ხარვეზები მოითხოვს დროს გამოსწორებისათვის, ექვემდებარება გამოსწორებას, ამიტომ მას, როგორც საბჭოს თავმჯდომარეს მიაჩნია, რომ ლოგიკური იქნება განესაზღვროს ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად, შესაბამისად დაწესებულებას ექნება ერთი თვის ვადა, რომ გამოასწორონ ხარვეზები და გაითვალისწინონ გაცემული რეკომენდაციები.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს თავმჯდომარეს, დარგის ექსპერტს და აღნიშნა, რომ გამოასწორებენ და გაცემულ რეკომენდაციებს გაითვალისწინებენ, მათ ფაქტობრივად უკვე დაწყებული აქვთ მუშაობა და მზად არიან განსაზღვრულ პერიოდში გამოასწორონ და წარმოუდგინოს საბჭოს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის „ხარაჩოს ინსპექტირება, აწყობა და დემონტაჟის მართვა“ პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული

პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრს (ს/კ: 406290954) განესაზღვროს საბჭოს სხდომიდან 30 კალენდარული დღის ვადა პროფესიული მომზადების პროგრამის - ხარაჩოს ინსპექტირება, აწყობა და დემონტაჟის მართვა /02019/ - ხარვეზის გამოსასწორებლად.

6. ა(ა)იპ ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველოს „შენობების ენერგოეფექტურობის (ენერგეტიკული მახასიათებლების) სერტიფიცირება“ /02286/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა მაია აბდალაძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 16 აპრილის №421116 ბრძანების საფუძველზე პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დარგის ექსპერტმა ზაალ ხელაძემ და ცენტრის წარმომადგენელმა, მაია აბდალაძემ 2025 წლის 1 მაისს განახორციელა ვიზიტი ა(ა)იპ ენერგოეფექტურობის ცენტრ საქართველოში მისამართზე: ქ. თბილისი, დ. გამრეკელის ქ. №19, ოფისი №49.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, რეკომენდაცია არ გაცემულა.
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის სახეა - გადამზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა - 7 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 20, განხორციელების ადგილი: ქ. თბილისი, დ. გამრეკელის ქ.№19, ოფისი №49.
მაია აბდალაძემ მოკლედ მიმოიხილა სამივე სტანდარტი.
პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ საქართველოს კანონი „შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ“ 2025 წლის 31 დეკემბრიდან, ყველა შენობის და შენობის ნაწილს, რომლებიც იყიდება (მათ შორის იყიდება მშენებლობის დასრულებამდე) ან ქირავდება/გაიცემა იჯარით; ასევე, ყველა 500 მ2 ზე მეტი ფართის მქონე საჯარო დანიშნულებისა და ადმინისტრაციული ორგანოს საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებულ შენობას უნდა გააჩნდეს შენობის ენერგოეფექტურობის სერტიფიკატი.

2023 წლის 1 ივლისიდან ამოქმედდა მთავრობის №354 დადგენილება ენერგოეფექტურობის მინიმალური მოთხოვნების შესახებ. დადგენილების თანახმად, ყველა ახალი მშენებლობის ნებართვის მისაღებად აუცილებელია №354 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისობის დეკლარაციის წარდგენა.
საქართველოს მთავრობის 2025 წლის 8 აპრილის დადგენილება №108, რომლის მესამე დანართში გაწერილია "შენობების ენერგოეფექტურობის სერტიფიცირების განმახორციელებელი პირებისთვის" თანდართული სატრენინგო პროგრამა. წარმოდგენილი პროგრამა ზუსტად იმეორებს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ პროგრამას.
შენობების ენერგოეფექტურობის სერტიფიცირების უფლება მიენიჭებათ მთავრობის მიერ დამტკიცებული სატრენინგო პროგრამით მომზადებულ და არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, სერტიფიკაციის აკრედიტებულ ორგანოში, სასერტიფიკაციო გამოცდების ჩაბარების შემდეგ, პირები, შეძლებენ დარეგისტრირდნენ შენობების სერტიფიცირების განმახორციელებელ დამოუკიდებელ ექსპერტებად, რომელთა სია გამოქვეყნდება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებგვერდზე.
პროფესიული გადამზადების პროგრამის „შენობის ენერგოეფექტურობის სერტიფიცირება“ განხორციელებაში ჩართული იქნებიან ენერგოეფექტურობის ცენტრის დარგის ექსპერტები და ასევე მოწვეული არიან სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები.
აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ენერგოეფექტურობის ცენტრის ექსპერტმა გაიარა სპეციალიზებული კომპიუტერული პროგრამაზე მუშაობის ტრენინგი. კომპიუტერული პროგრამა - "საქართველოს ენერგოეფექტურობის სერტიფიკატი შენობებისთვის“ შემუშავებულია სპეციალურად შენობების სერტიფიცირებისთვის გამოთვლის ეროვნული მეთოდოლოგიის, ენერგოეფექტურობის მინიმალური მოთხოვნებისა და შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად. გადამზადების პროგრამის შემუშავება და განხორციელება თანადაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) მიერ.
პროგრამის სახელწოდება არ არის შეცდომაში შემყვანი, მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, სწავლის შედეგები, მეთოდები, ხანგრძლივობა, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება შესაბამისობაშია.
მეორე სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელებაში ჩართულია ხუთი განმახორციელებელი პირი. დაწესებულებამ წარმოადგინა მათი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, განმახორციელებლებს უდასტურდება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების სწავლებისთვის შესაბამისი განათლება და პრაქტიკული გამოცდილება ამ კუთხით.
ვიზიტის დროს მოხდა განმახორციელებელთან გასაუბრება. პროფესიული გადამზადების პროგრამისთვის - გამოიყენება დაწესებულების AB გარემო, რომელიც უზრუნველყოფილია შესაბამისი აღჭურვილობით. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით გაფორმებულია ხელშეკრულება სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტზე არსებული "სათბობის, ენერგეტიკული დანადგარებისა და სამშენებლო მასალების თბური დიაგნოსტიკის სასწავლო - სამეცნიერო ცენტრთან, ხოლო შპს მნ-პროექტთან და შპს "სიემსთან" დადებული ხელშეკრულების თანახმად რეალურ სამუშაო გარემოში მოხდება ვიზიტი.
დაწესებულებას პროგრამისთვის წარმოდგენილი აქვს სასწავლო და ინტერნეტ რესურსი, რომელიც არის როგორც ელექტრონულად, ასევე მატერიალურად, სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისათვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე.
დაწესებულებამ წარმოადგინა სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი, რომლის თანახმად, შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს.

მესამე სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ენერგოეფექტურობის ცენტრი დაარსდა 1998 წელს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით და Tacis-ის პროექტის დაფინანსებით. ენერგოეფექტურობის ძირითადი მიზნებია: განახლებადი ენერგიის ათვისების ხელშეწყობა და ენერგოეფექტურობის გაზრდა მდგრადი განვითარებისთვის, შედეგად ეროვნული ენერგო უსაფრთხოების დონის ამაღლება და უარყოფითი გარემოსდაცვითი ზეგავლენის შემცირება.
სამოქალაქო საზოგადოებისა და ქვეყნის ხელისუფლების ცნობიერების დონის ამაღლება ენერგიის წარმოებისა და მოხმარების ეკონომიკურად და ეკოლოგიურად ხელსაყრელი მეთოდებისა და განახლებადი ენერგიებისა და ენერგოეფექტურობის პოტენციალის შესახებ.
ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და არასამთავრობო სექტორთან ენერგეტიკის, კერძოდ კი ენერგოეფექტურობის პოლიტიკისა და სტრატეგიის საკითხებში.
დაწესებულებამ პირველად შემოიტანა გადამზადების პროგრამა და მესამე სტანდარტის 3.3, 3.5 და 3.7 ქვესტანდარტი არ შეფასდა გამოცდილების არარსებობის გამო, რაც შეეხება 3.1, 3.2 და 3.4 ქვესტანდარტებს, წარმოდგენილი იქნა დოკუმენტაცია მსმენელთა შერჩევისა და ჩარიცხვის წესი და ხარისხის მართვის მექანიზმები.
პრეზენტაციის ბოლოს ცენტრის თანამშრომელმა საბჭოს წინაშე წარმოადგინა სასწავლო გარემოებების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ცენტრის წარმომადგენელს პრეზენტაციისთვის და აღნიშნა, რომ ის წარმოადგენს ეკონომიკის სამინისტროს, რომელიც აქტიურად იყო ჩართული განხილული მიმართულებების მომზადების პროცესში. თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა საკითხის მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ ეს ინიციატივა ენერგოეფექტურობის კუთხით მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია. ასევე განმარტა, რომ პროგრამის ფარგლებში ქვეყნისთვის ხელმისაწვდომი იქნება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსი - პირები, რომლებიც, სერტიფიცირების წარმატებით გავლის შემთხვევაში, სერტიფიცირებულ ექსპერტებად ჩამოყალიბდებიან. როგორც მისთვის ცნობილია, ასევე შეიქმნება მონაცემთა ბაზა, სადაც თავმოყრილი იქნება ყველა ის სერტიფიცირებული პირი, რაც პროცესის ეფექტიანობას მნიშვნელოვნად გაზრდის. მისი შეფასებით, პროგრამა განსაკუთრებით საინტერესოა და იმ ტიპის ინიციატივებს განეკუთვნება, რომლებიც დაკავშირებულია განახლებად ენერგიებთან და ენერგოეფექტურობასთან, რომლებიც უმნიშვნელოვანესია ქვეყნის განვითარებისთვის.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათთვის აღნიშნული საკითხი პროფესიულ განათლებაში ახალ ეტაპს წარმოადგენს. მან დასძინა, რომ მათ მისცემს შესაძლებლობას, წარმატებით განახორციელონ საკუთარი მიზნები და ამოცანები. მისივე თქმით, კანონმდებლობის მიმართულებით უკვე მიღწეულია მნიშვნელოვანი პროგრესი, ხოლო ამ პროგრესის რეალურ შედეგებად ქცევა საჭიროებს კვალიფიციური პროფესიული კადრების არსებობას. სწორედ ამ საჭიროებიდან გამომდინარე იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რომ იმ სამუშაო ჯგუფის გამოცდილება, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა როგორც კანონმდებლობის, ისე კანონქვემდებარე აქტების შემუშავებაში, მოხმარდეს პროფესიული კადრების განვითარებას.
მან დიდი მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველოს „შენობების ენერგოეფექტურობის (ენერგეტიკული მახასიათებლების) სერტიფიცირება“ /02286/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ ენერგოეფექტურობის ცენტრ საქართველოს (ს/კ: 202949364) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - შენობების ენერგოეფექტურობის (ენერგეტიკული მახასიათებლების) სერტიფიცირება /02286/ **(დანართი 5).**

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დასრულდა 12:57 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების
მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
გამყრელიძე გიორგი

პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების
მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს სხდომის მდივანი
სანაია სალომე